6.

— ი. [illegible]
— 1921 წ.
— 11 ოქტომბერი.

მეოცნებე ნიამორები

წიგნი მეექვსე

ოქტომბერი
1921

სინაძსარი.

გრიგოლ რობაქიძე—რთველი.
ტიციან ტაბიძე—პაოლო იაშვილს.
გიორგი ლეონიძე—ავტოპორტრეტი.
ლილი მეუნარგია—ინფანტა.
კოლაუ ნადირაძე—პოეტი მანეკენი.
ნიკოლოზ მიწიშვილი—გამოთხოვება.
შალვა აფხაიძე—წერილი სანდროს.
რაჟდენ გვეტაძე—მარო მაყაშვილს.
შალვა კარმელი—მკვდარი ბრჯუგგე
ვალერიან გაფრინდაშვილი—Divagation.
სანდრო კირეკიძე—პოეზიის ნაპირები.
ვ. გაფრინდაშვილი—სახელების მაგია.
ვარამ გაგელი—პოეტები სტამბაში.

რედაქტორი—ვალერიან გაფრინდაშვილი.

ამწყობი—მიქელ გარსოშვილი.

№ 6

გრიგოლ რობაქიძე

რთველი

შავი საწნახელი ვეშაპათ როფილი.
მტევნების ტევრები მთელი და სრესილი.
სურნელის ტბორით დამთვრალი პროფილი.
წვივები მწურავის წითურ შეგლესილი.

გიდელი გოდორი ძარი და კალათი:
ყურძენი მოდის ყვითელი და შავი.
ცხვირგადატეხილი ხაპის ქალათი—
ტკბილს ეძალებიან ჟივილით ბავშები.

გადახრილ მზის ლალებს აქარვებს ხარდანი.
ზანგელა გველებათ აწვდილან ლერწები.
იშმუშნებიან ფოთლების ფარდანი:
ჩეროან გრილოში რაღაც ილეწება.

სუნთქვა განაბული შრიალი ჩურჩული:
ჩემი ხარ, ჩემი ხარ: რათა ხარ ურჩული.
კოცნის შაირი ნელი ხმა თანაბარ:
მეც შენთანა ვარ: მეც შენთანა ვარ.

ფერები გარბიან სარზე სარიდან.
ვაჟები მღერიან ოდელა დილანოს.
გვიახლოვდები რომელი მხარიდან:
ევოჲ დიანოს: ევოჲ დიანოს.

ტიციან ტაბიძე

პაულო იაშვილს

ჩემი სონეტი მოელოდა ეპიტალამას.
სიამის ტყუპნი სიამითაც ვიყოთ ტყუპები.
საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.

სხვა მეგობარმა და პოეტმა გვადარა ალმასს.
ვიცი: გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით
თვით პოეზიას ურიდებლათ ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები.

წითელი ხარის გამძლეობია მაგარი ჯიში.
და იალაღზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრათ
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს აქამდი შიში,
რომ საქართველოს მოვედებით ლექსის ნიაღვრათ.

ყველას გვინდოდა ყოფილიყავ ჩვენი ამარა,
მაგრამ ჩვენ ძმობას დღეს გიბრძანებს შენი თამარი.

გიორგი ლეონიძე

ავტოპორტრეტი

ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაკინი,
რომის კედლებთან ურაგანი და დინამიტი.
ცხელ რუსუდანის მესრისება მე სარეცელი,
დაუბრუნებელ სივრცეების მაღრჩობს ამინდი.
ძველი სისხლები არის ჩემში დარეულები,
(კახეთის მსუქან თეძოების ვწოვე მტევნები).
თავზე მადგიან კვირეები მთვარეულები
და პურპურივით მზე მეცემა დაუტევნელი.
რასის ჭრილობებს ტანზე ვითვლი, როგორც ყვავილებს.
ქართლის თავადი და პარიჟის დიდი ტრიბუნი.
მიყვარს დროშები საქართველოს გამოყვანილი
მზე—ჩემი გვარის ლაშქრობაში გათეთრებული.
პოეზიაში, როგორც რუმბში ჩაყუდებული.
ყველა წვენებში, ყველა შხამში სული ჩავაწე
არტჯურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული—
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე.
მე ვარ პოეტი, კვირეული ვარ ნიამორი.
შეგვიანებულ ტრამვაების ყრუ „ნეევერმორით“!

ლილი მეუნარგია

ინტანგა

ვერ მოვიგონე ვინ შემეხო სისხლიან ხელით.
ხუთივე თითი აღიბეჭდა თეთრ აბრეშუმზე.
ჩემი ფიქრები გადაიწნა მეწამულ გველათ
და ჩემს ხატებას თეთრ სარკეში მე ვეღარ ვუმზერ.
კოშმართა ვროვას ათამაშებს დამშეულთ ლანდი,
ღამის კალთაში რომ ატარებს გამხდარ მემკვიდრეს.
მოიმღერიან მოცეკვავენი ძველი ელლადის.
იყავ ცბიერი და თვითმკვლელობა არ გაგიკვირდეს.
გულს დამისერავს შეყვარება ელეკტრო ცეცხლის,
გაყინულ ბროლით სულს დაობლებულს რომ ვერ გაათბოს.
მომენატრება მდუმარება ცისფერი ვეცხლის.
ქუჩის დედოფალს დიამანტებით არვინ შემამკობს.
ო, რა ენაზე, რა სიტყვებით, ან ვის მივმართო,
რომ გამოვტაცო საშინელი იდუმალება!
წყეულ იჭვებით დაფერფლილი დავრჩები მარტო.
სიგიჟე ჩემი ჩინურ ვაზაში დაიმალება.

კოლაუ ნადირაძე

ყვითელი მალალი — პოეტი მანეკენი

ახლოა წუთი ულმობელი ნაცადი ხშირათ.
აცბიერდება კუზიანი მთვარე მაისის.
გავყვები ჩემ სულს დაღმართებით ჯაშუშათ, გზირათ;
დამატრიალებს დღეს ოცნება უზენაესი.
საბედისწერო ახლოვდება შეხვედრა ჩვენი;
დალბობილ სახეს ვაკვირდები, ვაშორებ რიდეს;
მღვრია შუშიდან გაღიმება მას მეტათ შვენის;
მივესალმები როგორც პოეტს უჭეშმარიტესს.
წვრილი ფეხებით გადმოიარს მაგიდას მარცხნით,
და მომიჯდება ირიბულათ თვალებ დახრილი;
თმებს გახუნებულს გაისწორებს ზარმაცი ვარცხნით,
და ურიცხვ ჟამთა მას მოჰყვება ნიავი გრილი.
დამპალ უბიდან ის ალაგებს ლექსებს სხვანაირს,
და მაწვდის ხელში, ვით მუმიებს, ვით ტარანტულებს;
საწამვლავებით გააბრუებს, დატვირთავს ჰაერს,
და სინამდვილეს ის კანკალით ჩემ წინ ართულებს.
შავ კრიალოსნათ მე სამყარო გადმომბარდება,
მაგრამ მალალს დააწვება მთვარე მტყლიურათ;
ჩამომპალ სახეს ხორცმეტები მძიმეთ ვარდება,
და მანეკენი იღუპება ფეერიულათ.

ნიკოლოზ მიწიშვილი

გამოთხოვება

მოვკვდები ჩუმად ჩემს კუთხეში საწყალი მგზავრი.
სულს გამიციებს მე ქალაქში თუჯის სახლები.
და წავალ ისე მოკრძალებით, უცნობი ჯავრით
რომ სიბრალულით დამკოცნიან ქუჩის ძაღლები.

არ გამანათებს გვირგვინები და პროცესია.
გულღია საფლავს არ დააბნევს ვარდს ქალწულები.
კუბოს ცხენებიც არ წაიღებს როგორც წესია —
აშლილ ნაბიჯით წამათრევენ დაქანცულები.

ო, მეგობრებო! მომიტევეთ შეცოდებანი.
დაბეჭილ სხეულს ვინ გაუღებს სამოთხის კარებს.
განსაზღვრულია წმინდანების იქ წოდებანი
და პატიოსნად ცხონებულებს ვინ მიმაკარებს.

მე ხომ უეცრად დამიმარცხდა ყველა უჯრედი
და ჩემი სისხლიც მოიწამლა გადაშენებით.
წინაპართ თესლის ძლიერება მხნე და უშრეტი
ცოდვამ წაიღო ვნებიანმა ჩქარი ჭენებით.

ჩემით თავდება წელმაგარი გლეხების გვარი.
მამათა სისხლი გადავლესე შხამიან ძმარში.
დავიწვი ისე როგორც ჩვენსას იწოდა კვარი.
და მშობელ მიწას ვაგონდები მე ავ სიზმარში.

მე ბევრი მიმაქვს უცნობი და გაუგებარი.
ჩემს ტვინში ბევრი უცხო აზრი გადაგლესილა.
მე არ მსმენია ტკბილი სიტყვა-ძმა, მეგობარი.
ო, რომელიმეს მტრულად მაინც გაერტყა სილა.

და ეხლა მკვდარი, ფეხშიშველი, გახუნებული.
ხმელი ვკიდივარ ორი ქვეყნის მე ორბოძალზე.
მე წარსულ დღეებს გადავტირი დაღონებული.
და ყველა ღმერთებს სათითაოდ ვაგინებ ძალზე.

შალვა აფხაიძე

წერილი სანდროს ტფილისიდან

ძველი ხატების დიდ მინანქრებში
კვდება ტფილისი—ქართლის დიდება.
და მოგონებას ქვების ნამქერში
ჩემი თვალები გაეკიდება.

ო, საქართველო! მინდა მივმართო
დარღვეულ სხეულს, ჩემ მიწას—დობილს:
შენ ამ სივრცეში იწვები მარტო,
ვინ შეგიფარებს აქ არ შენდობილს?

ღამეებს მიაქვს დღის მწუხარება.
და მოჩვენება ცხელი ისანის.
გადაავიწყდა ტფილისს ხარება:
ჩვენც ერთმანეთი გადავიცანით.

აქ საოცარი იწვის ხვეულება,
საფლავი არის თვალების უპე.
სანდრო! გვაწუხებს საშინელება,
ბაღლინჯოს სრესა, შმორი და წუმპე.

შემოგვეჩვია ქარი სოველი.
გვიანი სპლინი ომით ნალესი
შემოღამებას კრთომით მოველით.
იქნება ჯვარცმა უმწვერვალესი.

პილიგრიმები. უდაბნო ცხელი.
ნინო წარმართი და კლეოპატრა.
სანდრო! მეძახის შენი სახელი
და საფიჩხია კვლავ მომენატრა.

რაჟდენ გვეტაძე

მარო მაყაშვილს

მე არ გიცნობდით ამორძალო, სწორო თამარის,—
მაქვს სანანებლათ თქვენი სახის უნახველობა.
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს: რომ ვარდი ფარავს სამარის.

ო, არ დაგცალდათ ნაზი ცქერა მზიან კამარის,
და როს იგრძენი გშორდებოდა უნაღველობა—
გტანჯავდა უხმოთ განწირული ბედის ქველობა
და სიყვარული საქორწილო თეთრი ქამარის.

მოსჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი.
და უჩვევ შიშით ვეფარები ქვის მოაჯირებს:
მოულოდნელათ თქვენს სასთუმალს მოძვრება ჯვარი—

ვით ქაფის სვეტი წამოდგებით გაშლილ ქოჩორით.
და მოგონებით გულდაწყვეტილს დიდხანს გაჩერებს:
ქოროღლის ციხე, ტაბახმელა, რუხი კოჯორი.

შალვა კარმელი

მკვდარი ბრჟუგგე

დღეს ქუთაისი თითქო ჩემთვის მკვდარი ბრჟუგგეა.
ყველა წარსული დანგრეული მოდის ბაღებად.
აქ მოგონებას შრიალების ფრთები უგია
და ღამდებიან ოცნებები როდენბახებად.
გადიარს მთვარე მკვდარ ქალაქზე მარადი სევდით.
ო, რა უცხოა ეს საღამო და გამოგბრწყენა.
თავდავიწყებას ჩვენ მგზავრები ამაოდ ვსდევდით.
როგორც პრინცესა მგლოვიარე—გვფარავს მოწყენა.
გუშინ ვაგონში ფერმკრთალები შიშობდენ ჭლექზე.
ისროდა ველებს სექტორებად უცხო მედისკე.
მე კი მათრობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი:
„მიმქონდა ხსოვნა ელენესი იმერეთისკენ!“
მკვდარო ქალაქო გაიღვიძე! შენს ხნიერებას
ჩემში ტირიან ხავსიანი ტაძრის სვეტები.
მე წარმოვადგენ აქ პირველად ქვეყნიერებას,
მერე დაჰქრიან სივრცეებში სხვა პლანეტები.
არ არი ღმერთი! გადმობრუნდა ცა შერყეული.
უნდა გავექცე ამ ქვეყანას საგველეშაპოს...
მშობელო მიწავ! ჭეშმარიტად იყავ წყეული
და ვერ გადურჩე დამარცხებას, სირცხვილს, ეშაფოტს!

ვალერიან გაფრინდაშვილი

Divagation

როგორც ჰამლეტი—წარმოდგენას თვითონ განაგებს
ლურჯი საღამო—შავ ლორნეტით მოხეტიალე.
ის თავის კუკლებს კაფეებში დაობანაკებს
და ბალაგანის დაიწყება ჩქარი ტრიალი.

ჩვენ, პოეტები, რუხ ქუჩებში გავიფანტებით.
ტრამვაებს შორის აჩრდილები კენტათ დადიან.
ცქერას დავიტკბობთ აჩრდილების ავი ფანდებით,
თითქო ეს წუთი საოცარი სხვა პარადია.

პატარა ფრთებით მოფრინდება გრიგოლის ალკა
და უიმედოთ გვეკითხება ის მამის ბინას;
ჩვენ კიდევ გვინდა ვემსახუროთ მას კათაფალკათ,
მაგრამ მოიწყენს და გაჰყვება ქალაქის სინას.

ჩვენი ძეგლებით მედიდურობს ქუჩა გვიანი:
შუადღის პანი ამართულა ვით ოქროს ბუდა:
გამოკვეთილი ალმასიდან სდგას ტიციანი:
ბრწყინავს პაოლო ბუმბერაზი და ნაღდი მუდამ.

მაგრამ ეს ქუჩა მობრუნდება ვით კარუსელი:
მახინჯი სახლი და წარწერა: ყანწელთა მორგი.
სანახაობას აუტანელს ვეღარ უძელით
და გავექეცით მოჩვენებას ხმა-დანაბორკი.

ხანდრო ციხელაძე

პოეზიის ნაპირებში

სამთავრო პოეზიის არაა შემოხაზული საბოლოოთ. პოეზიას ყოველთვის სჩაგრავდენ და პოეტის სახელს სცვეთდენ ათასნაირად. იმას გაუჩნდა მეზობლებიც და მეტოქეებიც. პოეზიას ურევენ ლექსთწყობაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და პუბლიცისტიკაშიდაც კი.

პოეზია ენერგიაა, ქმედობაა, გადალახვაა საზღვრების. პ ო ე ზ ი ა მ ა შ ი ნ ვ ვ ა, რ ო დ ე ს ა ც ა თ ვ ი ს ე ბ ა ი ღ ებ ს მ ი ს ნ უ რ ხ ა ს ი ა თ ს და მ ი ს ი თ ქ მ ა ფ ე რ ებ ი თ დ ა ხ მ ებ ი თ ა რ ა ა ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო. ალი არსენიშვილს და არჩილ მიქაძეს არც ერთი სტრიქონი არ შეუტანიათ პოეტურ მწერლობაში, მაგრამ ისინი პოეტები არიან უთუოდ: მე მწამს, რომ მათთვის ჩვეულებრივი ნივთები იბნიდებიან სხვა სამყაროების გამოსაჩენათ.

პოეზია არ ეტევა ლიტერატურაში. ის უფრო მაღალია და მისი თვალები ისვენებს ხან მუსიკაში, ხან მხატვრობაში. პოეტებია სკრჯაბინი და გუდიაშვილი. პოეზია განცდაა და მისი გამოთქმა შეიძლება პეტრარკას სონეტით, პროზით, სიმფონიით, უჯსტლერის საღებავებით. არაა სავალდებულო თქმის სიკეთეც. ცუდი პროზა ხშირათ ჩვენი აზიური მოდერნისტების გათლილ ლექსებზე უფრო პოეტურია.

პოეტის განცდა მაღალ საფეხურებზე იღებს ან ტრაღედიის ან ირონიის ხასიათს. ვისაც ეზმანება ორეულები წარმავალის, იმას შეუძლია ლაფორგივით გაასვენოს დედამიწა. ირონია შეიძლება მივიდეს თქმის უარყოფამდე და უნდა მოველოდეთ ამაყ პოეტებს, რომლებიც აღარ გამოსთქვამენ თავის განცდებს. ჭეშმარიტი პოეზიის ორღობე მიდის ამ უფსკრულისაკენ; აქ იქნება ნამდვილი კრიზისი ძველი პოეზიის: დიდი განცდები აღარ ღაიმტვერება ვიტრინებში მუშტრის მოლოდინში და ფილისტერებს აღარ დასჭირდებათ ჯუბილეების გადახდა პოეტებისათვის.

მაგრამ ჯუბილეები მაინც იქნება: ფილისტერმა არ იცის ჭეშმარიტი პოეზია—მისთვის ყველა სახელები თავსდება ხ ე ლ ო ვ ნ ებ ა შ ი. მისთვის მისაწდომია მხოლოდ უშუალო განცდა, განცდა ფიზიოლოგიური. ის ხუთი გრძნობის გალიაშია და ყველა სიმფონიები ბეტჰოვენის მის ყურის ბარაბანს არ სცილდება.

პოეზია არაა ნაწილი ხელოვნების. ხელოვნებას საკუთარი სამთავრო აქვს: იგი სტილია, ფორმაა, საფარველია მაიასი. გარეგნობაა ერთი სიტყვით. მას აქვს ინსტინკტიური მიხვედრა გრძნობათა კაპრიზების და ეძებს უფრო მისაღებ და ადვილ ფორმებს. საუკუნოებით მუშავდებოდა კანონები სიმეტრიის, გარმონიის; ხელოვნება ტეხნიკაა, მიღწევაა. ის არაა დინამიური, ის სტატიურია თავის უმაღლეს საფეხურებზე. ხელოვნებამ იცის მარადი ფორმები ფუგის, სონეტის, კორინთის და იონიის კოლონების. ფორმა უდიდეს როლს თამაშობს არხიტექტურაში და აქ ყველაზე უფრო გამოჩენილია ხასიათი ხელოვნების: დაკანონებული ფორმები და, კომპოზიციები ორეულებივით მეორდებიან დროში და სივრცეში.

ხელოვნებას საქმე აქვს მარტო მატერიალურთან. ფერების შერჩევა, ხაზების მოშვილდვა, ხმების შეწყობა ისე, რომ თვალს ეამოს, სმენა დატკბეს—ხელოვნებას სხვა აზრი არა აქვს.

ხელოვნური ნაწარმოები შეიძლება იყოს თავისთავადი, მარტოოდენ ფორმა უშინაარსო. იგი შეიძლება შედეგრიც იყოს ოსტატობით, მაგრამ მეცხრე ცის გადაღმა არ გადაგვახედებს. ასეთია იგორ სევერიანინის ლექსები, იტალიანური მუსიკა ხშირათ, მოდერნიზმის ცრუკლასიკური ხელოვნება და ყოველი კლასიციზმი იდეალში. ესაა ხელოვნება ხელოვნებისთვის, ფორმა ფორმისთვის, წმინდა ფორმა წმინდა ფაბულით. მას პოეზიასთან არაფერი კავშირი აქვს და მისი მნიმვნელობა. ამგვარივეა, როგორც ,ზაფხულში ტკბილი ლიმონათის.'

უფრო ხშირათ ხელოვნება მოჯამაგირეა. იგი თავისი ლამაზი ფორმებით ტანსაცმელივით მიდის საცვეთად პუბლიცისტიკასთან, ფილოსოფიასთან, არითმეტიკასთანაც კი. იგი პასიურია მონასავით და ადამიანის ხუთ გრძნობას მორიდებით უსწრებს წინ, რომ მის სასარამოვნოთ გაალამაზოს ყოველივე—მეცნიერება, რელიგია, ქუჩები, ოთახის მორთულობა.

უტილიტარული ხელოვნება ხშირათ საღდება ,აზრიან ხელოვნებათ.' ასეთია აკაკი წერეთლის ლექსები ბანკობიაზე. მისმა მოწაფეებმა ვერ გაიგეს მისი ,აღმართ-აღმართი' და ,სულიკო' და თმაგათეთრებულები დღემდი ლექსავენ მიმდინარე ცხოვრების ფილოსოფიას 200 ბწკარში და პოეტების ლექსიკონში თავის სახელს ელიან. მაგრამ მხატვრულად დაწერილი ფილოსოფია ან პუბლიცისტიკა იგივეა, რაც ვრუბელის ორნამენტებით შემკული ბუხარი. აკაკის სამანკო ლექსები გავს შაქრით დატკბილულ პილაულებს. ეს ,აზრიანი პოეზია' არაა პოეზია; იგი მხოლოდ ბელეტრისტიკაა,[1]) სულ ერთია ლექსათაა თუ სადათ დაწერილი. აქ გალამაზებული ნივთებია მთელი თავისი სიმძიმით.

ასე რაინდებივით პირისპირ დგანან პოეზია და ხელოვნება და ხმალში იწვევენ ერთმანეთს. ბედნიერ მომენტებში ისინი მეგობრებივით ხვდებიან. პოეზიასთან თანამშრომლობა ყოველთვის ამაღლებდა ხელოვნებას: აქ იგი არ იყო არც აზრიანი და არც ცარიელი.

პოეტური თქმა არაა ყოველთვის ხელოვნური თქმა. ჩვენ დიდ პოეტებს ნიკოლოზ ბარათაშვილს და უფრო ვაჟა-ფშაველას უწუნებენ სიტყვის ოსტატობას.

ხელოვნებას საქმე აქვს ჩვენ ხუთ გრძნობასთან უმთავრესად. იგი თითქმის ხელშესახებია და უფრო ადვილია მასთან მეცნიერული მეთოდებით მისვლა. ამიტომაა, რომ ესთეტიკა იმედიანათ ეძებს სიმეტრიის და სილამაზის კანონებს. ესთეტიკა ფორმის, სტილის, ათვისების თეორიაა. პოეტიკა იქნება თეორია განცდის. პოეტიკა უმთავრესად მეტაფიზიკური და მისტიური იქნება.

ხელოვნების ჩაქუჩი გაუძლებს დროთა ბრუნვას. იმას არ ეშინია ფორმების გამეორების. მაგრამ თუ პოეზიამ უარი თქვა სოფელზე და თავის სენაკში ჩაიკეტა, ხელოვნების გამოწვდილ ხმალს არავინ უპასუხებს და ფილისტერები ვერ შეამჩნევენ მის მარტოობას.

12 ივნისი 1921 წ.

---

[1]) ბელეტრისტიკა ყველაფერი, რაც ზხატვრულ ლიტერატურაში პოეზიის გარეშე რჩება.

ვალერიან გაფრინდაშვილი

სახელების მაგია

დღეს პოეზია დატვირთულია სახელებით, როგორც კალიოსტროს თითები ძვირფასი თვლებით. ერთი სახელი შედის პოეზიაში, როგორც დედოფალი და მეორე, როგორც მონა.

პირველად სახელს აქვს რეალური შინაარსი, მაგრამ ის თანდათან იწმინდება რეალობიდან და საკუთარ ღირებულებად იქცევა. მთელი საბერძნეთის მითოლოგია დღეს სახელების მაგია არის, დაშორებული თავის პირვანდელ ნიადაგს.

დღეს პოეზია იწვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან.

პოეზიის მთავარი მიზანი არის გამოგონილი ან არსებული სახელის დამტკიცება და გაძლიერება. სახელი არის რკინის მავთული, ჰაერში გაბმული, რომელზედაც პოეტი ჯამბაზი სიარულს ბედავს.

სახელი და სიტყვა ერთად იზრდებიან, შემდეგ სახელი გაუსწრებს ზრდაში სიტყვას და მაღლა ააგდებს ტანს. როგორც რომელიმე გმირი ჰქმნის ლეგენდას, ისე სახელი პირველი აშრიალების შემდეგ ჰქმნის თავის ფანტასტიკას.

პოეტის კულტურა გაიზომება სახელების შესაფერი ხმარებით. ქართულ პოეზიისათვის ბოლო ხანამდი არ არსებობდა სახელების ჯადოქაობა. არ იცოდენ, რომ სახელი დიდი საშვალებაა მხატვრული მიზანის მისაღწევად.

ტიციან ტაბიძემ თავისი ბრწყინვალე სონეტი ,ესკურიალი' ასე გაათავა: ,მაგრამ სახელი პოეტების უფრო გვაბრმავებს'. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მგოსნის მდაბიო სახელწოდება ტიციან ტაბიძემ შესცვალა პოეტის კეთილშობილ სახელით.

არიან პოეტები, რომელნიც სახელის გამოტანას ვერ ახერხებენ: სახელები იცნობენ პოეტებს და ყოველ მეტიჩარას არ ემორჩილებიან.

პოეტების სახელი ანათებს, მაგრამ არიან სხვა სახელები, რომელთაც ეზიარა ჩვენი ოცნება: ბირნამის ტყე, სააკაძე, ერესეფესერ, თამარი, წიწამური, ეიფელი, აშორდია, მაკადამი.

ზოგი ნივთები და მოვლენები თავისი მოკვეთილი სახელით უტოლდებიან ადამიანთა სახელს.

სანდრო ცირეკიძის აზრით პოეზია სათაურით გათავდება. მაგრამ შეიძლება სათაურის უარყოფა ავტორის სახელისათვის, რადგან ავტორის სახელი უფრო მეტერმეტყველია.

სახელი როგორც საოცნებო მირაჟი პირველად აღმოაჩინეს პარნასელებმა (ტეოფილ გოტიე).

პარნასელებს შეჰყავთ ისტორია ლირიკის სასუფეველში და დღეს ლირიკა ქანაობს სახელების საქანელაზედ.

კნუტ ჰამსენის ილაიალი სახელია და ეს სახელი ევლინება მშიერ ბოგემას როგორც მუზა, როგორც მუცელ-მოგვი მადონა.
უეჭველია ის, რომ სახელი ახალმა პოეზიამ გააზღაპრა, იმ ლირიკამ, რომელიც არის ლიტერატურის სინტეზი და დასრულება. სახელის როლი ისე დიდია დღეს პოეზიაში, რომ უსახელო პოეზია პრიმიტიულია და ვიწრო საზღვარს ვერ გასცილდება.
ბეატრიჩეს სახელი გადასწონის მთელ დანტეს პოეზიას და მისი ალეგორიული პოემა გამართლებას ნახულობს ბეატრიჩეს სახელში. საფოს პოეზია ჩვენ თითქმის არ ვიცით, მაგრამ მისი სახელი თავის თავად პოეტურია. ჩვენ არ ვიცით ნერონის ლექსები, მაგრამ მისი სახელი, ამოვლებული ცეცხლმოკიდებულ რომის დაისში, შედის ლირიკაში, როგორც მოქანცული ქიმერა.
მერის სახელი უსწორდება შელლის სახელს და ამშვენებს ინგლისურ პოეზიას, როგორც მარადი ინფანტა. ედგარის „ნევერმორი" არ არის მხოლოდ სიტყვა. ეს სახელია და მკითხველს შეუძლია ამ ერთი სახელით მოიწვიოს ბევრი მოჩვენება და ბევრი სახე.
პოეზია არის „Notre Dame" და მის მაღალ კედლებზე აიმართენ სახელები, როგორც ქიმერები.
დღეს რომ პოეზიას სახელები გამოვაკლოთ, პოეზია მთელი საუკუნოებით დაიხევს უკან, იქნება უშუალო და სადა, როგორც ველურების შაირობა. ჯერ არავის გამოუცხადებია სახელების კულტი, მაგრამ შესაძლოა იმისთანა შკოლის გამოსვლა პოეზიაში, რომელიც აიღებს სახელს, როგორც თავის პოეტიკის მთავარ ხაზს. ქართულ პოეზიაში სახელების მაგია გამართლებულია ყანწელების გაქანებული სახელებით და აგრეთვე მათი პოეზიით. გრიგოლ რობაქიძის „ვასაკა" უკვე შეიცავს სახელში თავის ფანტასტიკას და მომავალი ქართული პოეზიის წინამორბედია. პაოლო იაშვილის ფარშავანგი დარჩება, როგორც რევოლიუციის ბაირაღი და ამის გარდა ბევრ სახეებს შესძენს ქართულ პოეზიას. ეს ლამაზი და უცხო ფრინველი პირველად პაოლო იაშვილმა ააკივლა პოეზიაში და მე მჯერა, რომ ფარშავანგი იქნება ფანტასმაგორული სახელი და არა მარტო სახე.
ტიციან ტაბიძე მთელ ევროპას მოივლის თავის ქალდეას ბალაგანით. მისი ქალდეა დააბრმავებს პოეზიას ახალი სხივებით და ეს სახელი, როგორც „მღვდელი და მალდარია" ბევრ აჩრდილებს შექმნის და ფროიდში გადავა, როგორც ყოველი შესანიშნავი სახელი. ლოტრეამონის მალდოროორი საშინელების აპოთეოზია და ისმის, როგორც ნევერმორი. მალარმეს „პენიულტიემი" სახელში გადადის და მისი პირვანდელი აზრი იკარგება.
სახელების მისტიკა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამას მოწმობს ყოველდღიური ცხოვრება. ცხოვრებაში გაბატონებულია რამოდენიმე სახელი და ყოველი დანარჩენი მათი ანარეკლია.

არის მომენტი, როდესაც სახელი, როგორც კათაკმეველი, პოეზიის გარეშე სდგას, მაგრამ ცის თაღი გაიხსნება და სახელი ამაღლდება თავის ტახტზე. მე ვლაპარაკობ კეთილშობილ სახელებზე, რომელთა ნიშნის ქვეშ მიდის დღეს პოეზია.

ლირიკა არის სპილოს ძვლის კოშკი. ამ კოშკიდან იყურებიან ანდროგინები და ქალწულები, რაინდები და დამეები, მაგრამ თვით პოეტია კოშკის ხუროთმოძღვარი.

როცა პოეტი კვდება, მისი სახელი ვარსკვლავად მიჰყვება მის კუბოს და შემდეგ იწყებს ხეტიალს მსოფლიოში. პოეზიის ცაზედ ბევრი ვარსკვლავებია: ჩატერტონი, მარლო, ვიონი.

როშელიმე პოეტი ან ესეისტი შეადგენს პოეტურ სახელების გერალდიკას და აქ იქნებიან აზნაურები და თავადები.

ფუტურისტებს უნდოდათ ხელოვნურად დაეღუპათ პოეზია, მაგრამ ეს თავის თავად მოხდება, რადგანაც პოეზია დღეს იკვებება თავისი სისხლით და ხორცით. ის ჩონჩხად იქცევა და გადატყდება წელში, როგორც მოხუცი აკრობატი. მთელი ფუტურიზმის რიტორიკა და ერუდიცია მიმართულია სახელის წინააღმდეგ, მაგრამ თვით კრუჩონიხი სახელია და ყველაზე უფრო დაწყევლილი თანამადროვე პოეზიაში.

პოეტები როსკიპებივით ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ იძულებულნი არიან იცხოვრონ ერთ სახლში.

დადგება დრო, პოეზია სახელებს დაივიწყებს და ისევ დაუბრუნდება ფუტკრებს და ყვავილებს. მაგრამ რაც უნდა თავიდან დაიწყოს პოეზიამ, რაც უნდა ობიექტიური იქნეს ის, მისი განვითარება სახელის გამარჯვებით დაგვირგვინდება. სიტყვები როგორც მონები ნახავენ თავის სპარტაკს და დაამარცხებენ არისტოკრატიულ სახელებს, მაგრამ ეს დამარცხება იქნება დროებით. ყოველ სიტყვას იმედი აქვს, რომ სახელის წოდებას მოიხვეჭავს ოდესმე.

ყველაზე უფრო დიდი მაგალითი სახელის გაზღაპრების არის ღმერთი: არავინ არ იცის რას ნიშნავს ეს ნოუმენი, მაგრამ იგი კაცობრიობის რეჟისორია.

ვარამ გაგჯელი

პოეტები სტამბაში

(ფრაგმენტები ბიოგრაფიისთვის)

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე. აქვს თავის ფანტასმაგორია და მისტიკა დიდების. ვილიე დ'ელილ ადანმა დასწერა ,დიდების მაშინა'. საქართველოში გრიგოლ რობაქიძემ გაანათა ამ ფოსფორით. გადაკარგული უცხოეთში ქართველები, თვითონ უცხოელებიც და გამურული მუშაობით ასოთ-ამწყობნიც მიაჩერდებიან მის რომაულ პროფილს. არ ყოფილა შემთხვევა ვინმეს რობაქიძე არ შეემჩნია, არ ეცნო და არ გახარებოდა მისი შეხედვა. გრიგოლ რობაქიძეს სტამბაში მიაქვს თავის ლექსები პერგამენტზე დაწერილი—ასე სწერდენ ძველი ქართველები, რომელთა ხელნაწერიც უფრო გამძლები გამოდგა, ვიდრე ბევრი დაბეჭდილი წიგნები. მაგრამ მისთვის კორექტურის შეცდომა საბედისწეროა. არ დაბეჭდილა არც ერთი მისი ლექსი, რომ არ გამოჩნდეს ეს ჭინკა.

ერთხელ სანდრო ცირეკიძემ ,ანტოლოგიის' თვითეულ დაბეჭდილ წიგნში თავის ხელით გაასწორა ერთი შეცდომა გ. რობაქიძის ლექსის ,პანი'. სულ რამდენიმე თვის წინათ თვითონ გრიგოლ რობაქიძემ თავის ხელითვე გაასწორა ,ბარრიკადში' პაოლო იაშვილის ლექსის ,არტურ რემბოს' ერთი შეცდომა. მაშინ ეს ნომერი ათასსზე მეტი დაიბეჭდა. ორი ახალგაზდა სტუდენტი, რომელნიც შედიოდენ ამ საქმეში, გაკვირვებული უყურებდენ მის მუშაობას.

სტამბაში ბეჭდვის დროს ასოთ-ამწყობნი ორ საქმეს აკეთებენ: უსმენენ გრიგოლ რობაქიძეს და აწყობენ შრიფტს.

ერთად-ერთი შემთხვევაა, ალბათ, როცა ამ დაწყევლილ პროფესიის ხალხს უყვართ თავის ხელობა.

პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი. იგივე ,მაშინა დიდების'. არ ყოფილა არც ერთი სტამბის პატრონი ან ასოთ-ამწყობი, რომ ლიც მას პირადათ არ იცნობდეს. პირველ შესვლისთანავე გაღიმება — და ამუშავდება რეჟისურა. ყოველი სიტყვა დაპირებაა და არავის ეეჭვება მისი ასრულება. ასოთ-ამწყობებს უკვირთ, რომ ის მთვრალი არ არის — მაგრამ იციან მალე ერთად დათვრებიან. პაოლო იაშვილს არ დაუწერია არც ერთი ლექსი, რომელიც ან სტამბაში არ დაეწერა—ან ხელმეორედ არ გაესწორებია. სტამბაში დაწერილ ლექსებში ჯერჯეროობით პირველობა მაინც ერთ ლექსს რჩება ,ფარშავანგები ქალაქში'. არის ბედნიერი ადამიანი, რომელსაც ეს შეუძლია. პაოლო იაშვილი პირველათ სტამბაში მიხვდება, რომ საჭიროა ლექსის წერა. რასაკვირველია ისეთი ლექსის, რომელსაც ის დაბეჭდავს და არა იმ ექსპრომტების, რომლითაც ის ყველა საღამოებზე აპურებს ფილისტერულ საზოგადოებას.

მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა იციან, როგორ აფასებს პაოლო იაშვილი პოეტის სახელს, როცა მას სტამბაში ხედავენ. ის უკვირდება ყოველ

სტრიქონის გამართვას. პირის სახე და ხელები გამურული აქვს. ის ერთ და და იმავე დროს ასოთ ამწყობსაც ეხმარება, მაშინისტსაც და მეტრანპაჟსაც. და ყველას საქმიანად. დაბეჭდვის შემდეგ მისთვის დაბეჭდილი არ არსებობს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი. ვალერიან გაფრინდაშვილმა სრულიათ მოულოდნელათ დაიწყო რედაქტორობა. ალიონზე მთიან ტყეებიდან გადმოვარდებიან ,მეოცნებე ნიამორები', და ტფილისში გამოჩნდება თეთრ ,ყდიანი წიგნები. მისი ენერგიული სახე, რომელიც მისმა მეგობარმა ახალ მოსეს სახეს შეადარა, ყველას აჯერებს გაფრინდაშვილის საქმიანობაში. ამ პოეტს ჯერ არავინ შეხვედრია, რომ განშორების დროს აღტაცებით არ ექოს მისი სინაზე და მჭრელი ჭკუა.
ჩემთვის პრობლემაა თავის ნახევრათ დამბული ენით როგორ ელაპარიკება ის ასოთ-ამწყობებს—რომელთა ჯიუტობაც ასე ცნობილია პოეტებში—მაგრამ ყოველთვის აშკარათ გამარჯვებულია პოეტი.
სწერს ნერვიულ ხელით, როგორც ბავში. ამას მანიფესტის კარაკული ეწოდება. არა მარტო კორექტურის გულისხმობით, მას ეკუთვნის ერთი ფრანგი პოეტის ეპიტეტი: შეუცდომელი.

ს ა ნ დ რ ო ც ი რ ე კ ი ძ ე. დარჩება ალბათ საქართველოში პოეტის და გამომცემელის სახელი—ყველაზე უფრო მის მეგობრებში. ჩვენმა დრომ ბევრი გამომცემელი გაამდიდრა. სანდრო ცირეკიძეს შეუძლია გაიმეოროს დორიან გრეიდან—ანტრეპრენიორის სიტყვები:
—მთელი სიცოცხლე იშრომო გამდიდრებისთვის, რომ უეცრად გაკოტრდე შექსპირზე.
შექსპირის მაგიერობას, რასაკვირველია, პოეზია გასწევს.

კ ო ლ ა უ ნ ა დ ი რ ა ძ ე. ,ცხოვრება ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილი'—უკეთესი ავტოპორტრეტია. მე არ ვიცი როდის იცლის კოლაუ ნადირაძე სტამბაში შესასვლელათ. მაგრამ ამ დაუდევარმა პოეტმა მაინც მოასწრო წიგნის გამოცემა. მისი ,ბალდახინი' კათოლიკური სიმტკიცით არის გამოჭედილი (არის პოეტის სისხლში მართლა კათოლიკური). პირველ შეხედვისთანავე შეატყობს ყველა, რომ შეიძლება მას უმიზეზოთ ვინმე შემოელახოს. ამას, ალბათ, სტამბაშიც ხვდებიან.

ნ ი კ ო ლ ო ზ მ ი წ ი შ ვ ი ლ ი. როგორც ჭინკა გამოჩნდება მოულოდნელათ: რედაქტორი ცხრა ალაგას და უფრო მეტ ალაგას მდივანი. პირველ შეხედვისთანავე ენდობიან—ისეთი სპეტაკი ხალხიც, როგორც სტამბის პატრონებია. გიპერბოლებში არ ჩამორჩება ტიციან ტაბიძეს. მის ამხანაგებს არ გაუკვირდებათ, რომ ერთ დღეს ნ. მიწიშვილმა ისინი საკუთრათ შეძენილ სტამბაში შეიყვანოს.

ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ე. როცა სხვებთან არის, ნაკლებათ ლაპარაკობს, სხვისი იმედი აქვს, განსაკუთრებით თუ მთვრალი არ არის. როცა მარტო დარჩება, ერთად ერთი იარაღია—გიპერბოლა. მესამედიც რომ ვინმემ დაუჯეროს, საქმე გაკეთებულია. უნდოდა როგორც ლეკონტ დე ლილს შეუძლებლათ გაეხადა სალიტერატურო განყოფილების წარმოება, მაგრამ ყოველდღე აპირებს კომპრომისებზე წასვლას ახალგაზრდა პოეტებთან. თავის დღეში არც ლექსებში და წერილებში ნიშნები არ დაუსვამს და გულში ახარებს ყველა კორექტურის შეცდომა, (თუმცა ხანდისხან მეგობრებს უმალავს). თავის გამართლება ბევრია: სულ ერთია მაინც ვერავინ გაიგებს და ამას გარდა გადავარდნაც საჭიროა. შეიძლებოდა კიდევ მიმატება, მაგრამ შეიძლება ამან ავნოს მის რედაქტორობის სახელს.